ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/431

ქ. თბილისი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

07 ოქტომბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585 სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ფ.პ. **„გიორგი ეთერია“** (შემდგომში მიმწოდებელი), იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, გორის ქ. N25, ს/კ 62001034887, სს "პროკრედით ბანკი" კოდი №MIBGGE22, ა/ა № GE78PC0133600100047228

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით სამახსოვრო საჩუქრების **(CPV18530000 - საჩუქრები და ჯილდოები)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2016 წლის 03 ოქტომბრის (რეგისტ. №129781-21) მოხსენებითი ბარათის, სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 05 ოქტომბრის N27895 ბრძანების საფუძველზე და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 შესყიდვის ობიექტია:

ა) 2016 წლის 1-4 ნოემბერს დაგეგმილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum) რიგით მე-9 პლენარული სესიის ფარგლებში სტუმრებისათვის სიმბოლური საჩუქრების შეძენა, კერძოდ:

ა) 300 (სამასი) ცალი სუვენირი „ჩამოსაკიდებელი ბალთა“ - ერთეულის ღირებულებით 110.00 (ას ათი) ლარი, მთლიანი ღირემულებით 33 000.00 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი;

ბ) 30 (ოცდაათი) ცალი სუვენირი „მაგიდაზე დასადგამი ბალთა“ - ერთეულის ღირებულებით 140.00 (ას ორმოცი) ლარი, მთლიანი ღირემულებით 4 200.00 (ოთხი ათას ორასი) ლარი;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **37 200.00 (ოცდაჩვიდმეტი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების ჩათვლით, ღირებულება წარმოდგენილი **დ.ღ.გ. გარეშე.**

2.3 ხელშეკრულების 2.2 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის და მხარეთა უფლებამოსილი წარმომაგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მოწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2016 წლის 1 ნოემბრამდე.**
4.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აბზიანიძის ქ. №4.
4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.
5.3. ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #16, სსიპ „შემოსავლების სამსახური".
5.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, როგორც სრულად ასევე ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1გაუწიოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხოდ მოწოდებული საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; ორი ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური“

_____

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“
ფ.პ. „გიორგი ეთერია“

_____

გიორგი ეთერია
ფიზიკური პირი

შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 27895

05/10/2016

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის
საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

2016 წლის 1-4 ნოემბერს საქართველოში დაგეგმილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum) რიგით მე-9 პლენარული სესიის მონაწილეთათვის სამახსოვრო სუვენირების გადაცემის მიზნით, დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს, უზრუნველყოს წარმომადგენლობითი ხარჯების (კედელზე ჩამოსაკიდებელი და მაგიდაზე დასადგამი ბალთები) ანაზღაურება და 37 200 ლარის ოდენობის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტზე

2016 წლის 1-4 ნოემბერს საქართველო მასპინძლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum) რიგით მე-9 პლენარულ სესიას.

ღონისძიების ფარგლებში სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაიწევა წარმომადგენლობითი ხარჯი, კერძოდ ზემოაღნიშნული შეხვედრის მონაწილეთათვის სუვენირების შეძენის ხარჯები: ჩამოსაკიდებელი ბალთები 300 ცალი, რომლის ფასია 110 ლარი (ერთი ერთეული), ხოლო მაგიდაზე დასადგამი ბალთები - 30 ცალი, რომლის ფასია 140 ლარი (ერთი ერთეული), რაც საერთო ჯამში შეადგენს 37 200 ლარს.

დროის სიმცირის გამო, სსიპ შემოსავლების სამსახურმა ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვა მხატვარ გიორგი ეთერიასგან მიზანშეწონილია განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

N 129781-21 03/10/2016

შემოსავლების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ მამუკა ტერაშვილს

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის
უფროსის მოადგილის დაჩი ქინქლაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 1-4 ნოემბერს საქართველო მასპინძლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის (Global Forum) რიგით მე-9 პლენარულ სესიას. ასევე მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული შეხვედრის საორგანიზაციო საკითხებისა და მასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №331 დადგენილებით დაევალა შემოსავლების სამსახურს.

ღონისძიებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვის თაობაზე მიმდინარეობს კონსულტაციები გლობალური ფორუმის სამდივნოსა და სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფთან, შესაბამისად, როგორც კი ყველა საკითხი გადაწყდება გამზადდება მოხსენებითი ბარათი შესყიდვებთან დაკავშირებით. თუმცა, ამ ეტაპზე დროის სიმცირის გამო აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმება მხატვარ გიორგი ეთერიასთან, რომელიც ამზადებს შეხვედრის მონაწილეებისთვის სამახსოვრო სუვენირებს. კერძოდ, კულტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის წევრთან კონსულტაციის შედეგად გადაწყდა სტუმრებისთვის კედელზე ჩამოსაკიდებელი ბრინჯაოს ბალთების გადაცემა, ხოლო მაღალი დონის სტუმრებისთვის მაგიდაზე დასადგამი ბალთების გადაცემა.

ჩამოსაკიდებელი ბალთების შეძენა გადაწყდა 300 ერთეული, რომლის ფასია 110 ლარი (ერთი ერთეულის), ხოლო მაგიდაზე დასადგამი ბალთების შეძენა გადაწყდა 30 ცალი, რომლის ფასია 140 ლარი (ერთი ერთეული).

შესაბამისად, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებს ბრძანების გამოცემა, რათა შემოსავლების სამსახურმა გიორგი ეთერიასგან შეისყიდოს 300 ცალი კედელზე ჩამოსაკიდებელი და 30 ცალი მაგიდაზე დასადგამი ბალთა.

პატივისცემით,

დაჩი ქინქლაძე

დეპ. უფროსის მოადგილე

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
62001034887

გადამხდელის დასახელება
გიორგი ეთერია

ხელმძღვანელი

გადამხდელის მისამართი
დიდუბე-ჩუღურეთი / გორის ქ.N N 25, ბ.N 5

ელ-ფოსტა

ტელეფონი
598582812

ცნობა

ეძლევა, "გიორგი ეთერია"-ს (ს/კ 62001034887) მასზედ, რომ ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით 26/08/2016-ის მდგომარეობით არ არის რეგისტრირებული დღგ–ს გადამხდელად.

თარიღი: 26/08/2016

ID: 3989467

3060343

ანგარიშის რეკვიზიტები

სსიპ "შემოსავლების სამსახურის"
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი | TRESGE22
სსიპ "შემოსავლების სამსახურის" ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021

ამობეჭდვის თარიღი: 26.08.2016 11:50:59

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16

ელ. ფოსტა: info@rs.ge, ვებ გვერდი: www.rs.ge